



დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

16 მარტი 2018 წელი
რუსთავი

ქ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ეკატერინე ყანჩელი

მოსარჩელე - შპს, [REDACTED]

წარმომადგენელი - გურამ კონტუაძე, [REDACTED]

მოპასუხე - [REDACTED]

დავის საგანი - ფულადი ვალდებულების შესრულება, ხელშეკრულების მოშლა, ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრება და აღსრულების მიქცევა მოპასუხის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია სამოქალაქო საქმე №2-2367-16 მოსარჩელე შპს [REDACTED] [REDACTED] სარჩელისა გამო მოპასუხე [REDACTED] მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების, ხელშეკრულების მოშლის, ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრებისა და მოპასუხის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე აღსრულების მიქცევის მოთხოვნით.

სარჩელეში აღნიშნულია, რომ შპს [REDACTED] შემდგომში ტერმინალი, წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას, შემდგომში ზონა, რომელიც მდებარეობს ავტომობილების ბაზრობის ტერიტორიაზე. საბაჟო კონტროლის ზონაში ავტომობილის შეყვანის მიზანია, რომ ავტომობილის მესაკუთრემ თავი აარიდოს სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას. ტერმინალის ურთიერთობა ავტომობილის მესაკუთრესთან გამომდინარეობს მიბარების სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, კერძოდ, მისი ვალდებულებაა მიიღოს ავტომობილი მესაკუთრისგან და განათავსოს შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც

ავტომობილების განთავსება ხდება მესაკუთრის მიერ, დადგენილი ნიხრის გადახდის პირობით. ტერმინალი შენახვას ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ტერმინალის ზონაში ავტომობილის მიბარება არ მოითხოვს წერილობითი ნების გამოვლენას.

2015 წლის 15 იანვარს მოპასუხე [REDACTED] ავტომობილი [REDACTED] ტერმინალის ტერიტორიაზე შევიდა სავალდებულო საბაჟო დეკლარირებისაგან თავის არიდების მიზნით.

2016 წლის 07 დეკემბრის მდგომარეობით მოპასუხეს ერიცხება დავალიანება 1770.1 (ათას შვიდას სამოცდაათი და 0.1) ლარის ოდენობით.

მოპასუხე არ იხდის მიბარების საზღაურს მიუხედავად მოსარჩელის მხრიდან არაერთგზის მოთხოვნისა იგი თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას და ამასთან არ ახდენს საწყობის გამოთავისუფლებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოსარჩელეს.

მოსარჩელე მოითხოვს წარმოადგენს:

1. შეწყდეს მხარეებს შორის 2015 წლის 15 იანვარს გაფორმებული მიბარების ხელშეკრულება;
2. მოპასუხე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 2016 წლის 07 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 1770.1 (ათას შვიდას სამოცდაათი და 0,1) ლარის გადახდა.
3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 08.12.2016 წლიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველდღიური შენახვის საზღაურის 0.1 ლარის გადახდა;
4. მოპასუხეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება შენახვის ხარჯის მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველდღიურად 0,1 ლარის გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მოსარჩელის საწყობის (შპს რუსთავ ტერმინალ პლუსის საბაჟო კონტროლის ზონა) გამოთავისუფლებამდე ავტოსატრანსპორტო [REDACTED] და [REDACTED];
5. მიბარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებისა და ზიანის ანაზღაურების შენახვის ხარჯის მიუღებელი შემოსავლის სახით სრულად დაფარვის მიზნით-აღსრულება მიექცეს მოპასუხის კუთვნილ ავტომობილზე შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით [REDACTED] [REDACTED] [REDACTED];
6. იმ შემთხვევაში თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების [REDACTED] [REDACTED]

რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს შპს [REDACTED] [REDACTED] წინაშე არსებული მიზარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებისა და მიუღებელი შემოსავლიდან ზიანის ანაზღაურების სრულ ოდენობას, აღსრულება მიექცეს მოპასუხის ნებისმიერ შემოსავალსა და ქონებაზე.

7. მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე [REDACTED] ვინ კოდი- [REDACTED] თანხმლები დოკუმენტაციის ინგლისურიდან თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული, თარგმნისათვის გადახდილი თანხის 37(ოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდა.

მოპასუხე [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გადახდილი სახელმწიფო ბუის 100 ლარის გადახდა.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2016 წლის 22 ნოემბერს მოსარჩელის წარმომადგენელს ეცნობა, რომ სარჩელი მიღებული იქნა განსახილველად და მოსარჩელე მხარეს დაევალა მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება და მისი დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოდგენა ორი თვის განმავლობაში.

2016 წლის 01 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მომართა [REDACTED] წარმომადგენელმა გურამ კონტუაძემ და წარმოადგინა დოკუმენტები, რომლითაც დგინდება, რომ სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა მოპასუხე, [REDACTED]

2016 წლის 08 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მომართა [REDACTED] და განმარტა რომ მისი შვილი [REDACTED] არ იმყოფება საქართველოში და მასთან ერთ წელზე მეტია კომუნიკაცია არ აქვს, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს მოსაზრებები სარჩელში დასმულ კითხვებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სარჩელი და თანდართული მასალები დაუბრუნა სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 მაისს მიღებულ იქნა განჩინება, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომლის საშუალებითაც მოპასუხე [REDACTED], რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელე [REDACTED] მიერ აღძრული იყო სარჩელი, სადაც [REDACTED]

დასახელებული იყო მოპასუხედ. დავის საგანს წარმოადენს თანხის დაკისრება. მოპასუხეს ასევე განემარტა, რომ მას გზავნილის ჩაბარებიდან 07 დღის ვადაში უნდა წარმოედგინა კანონით დადგენილი წესით შევსებული შესაგებელი, ხოლო გზავნილი ჩაბარებულად ჩაითვლებოდა აღნიშნული განჩინების საიტზე განთავსებიდან მე-7 დღეს. მასვე განემარტა, რომ მის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩლო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩლო მოთხოვნასთან დაკავშირებით; 2017 წლის 04 მაისის განჩინება საიტზე www.geocourts.ge განთავსდა 2017 წლის 05 მაისს. შესაბამისად მოპასუხის მიერ შესაგებლის შემოტანის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 19 მაისი. მოპასუხეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ შემოუტანია.

სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგი წინაპირობები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

შესაგებლის წარმოდგენისათვის სასამართლომ მოპასუხე მხარეს დაუნიშნა **10 (ათი)** დღის ვადა. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში მოპასუხე მხარეს შესაგებელი არ წარმოუდგენია. მას არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზი (მიზეზები) უცნობებია სასამართლოსათვის და არც საპროცესო ვადის გაგრძელება უთხოვია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი

გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე, 361-ე, 394-ე, 405-ე, 407-ე, 411-ე, 763-764-ე, 775-ე, 780-ე მუხლების მიხედვით იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, ამასთან, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით, რის გამოც მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელის აღძვრისას, თანხის დაკისრების მოთხოვნისათვის გადახდილი იქნა სახელმწიფო ბაჟი 50 ლარი, აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხე ალექსანდრე კაპანაძეს მოსარჩელე შპს რუსთავის ტერმინალ პლიუსის სასარგებლოდ. ამასთან მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გადახდილი იქნა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი ოდენობით, ხოლო 2017 წლის 03 იანვრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელის უზრუნველყოფაზე გადახდილი ბაჟიდან 150 ლარიდან 100 ლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11-ლი პუნქტის თანახმად ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 232¹-ე, 234-ე, 235-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე შპს [REDACTED] სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. შეწყდეს მხარეებს შორის 2015 წლის 15 იანვარს გაფორმებული მიბარების ხელშეკრულება;

3. მოპასუხე [REDACTED] მოსარჩელე შპს [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს 2016 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანების 1770.1 ლარის გადახდა;

4. მოპასუხე [REDACTED] მოსარჩელე შპს [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს 2016 წლის 08 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველდღიური შენახვის საზღაურის 0.1 ლარის გადახდა;

5. მოპასუხე [REDACTED] შპს [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის ანაზღაურების შენახვის ხარჯის მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველდღიურად 0,1 ლარის გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მოსარჩელის საწყობის [REDACTED] საბაჟო კონტროლის ზონა) გამოთავისუფლებამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისგან: [REDACTED]

6. მიბარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებისა და ზიანის ანაზღაურების შენახვის ხარჯის მიუღებელი შემოსავლის სახით სრულად დაფარვის მიზნით-აღსრულება მიექცეს მოპასუხე ალექსანდრე კაპანაძის კუთვნილ ავტომობილზე შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით: საშუალოებისგან: [REDACTED])

7. იმ შემთხვევაში თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების საშუალებებისგან: [REDACTED]

[REDACTED] რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს შპს [REDACTED] წინაშე არსებული მიბარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებისა და მიუღებელი შემოსავლიდან ზიანის ანაზღაურების სრულ ოდენობას, აღსრულება მიექცეს მოპასუხის ნებისმიერ შემოსავალსა და ქონებაზე;

8. მოპასუხეს [REDACTED] შპს ,, [REDACTED]

სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე [REDACTED] ვინ კოდი- [REDACTED] თანხმები დოკუმენტაციის ინგლისურიდან თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული თარგმნისათვის გადახდილი თანხის - 37ლარის გადახდა;

9. მოპასუხეს [REDACTED] შპს [REDACTED] სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის გადახდა.

10. მოსარჩელე შპს [REDACTED] უკან დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 22 დეკემბერს საგადასახადო დავალება #530, სს „საქართველოს ბანკში“ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 150.00 ლარიდან 100 ლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, რომელიც ჩაირიცხა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით: მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში; მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22; ანგარიში/სახაზინო კოდი: 300063150;

11. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

12. დაუსწრებელი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით რუსთავის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

13. მოპასუხეს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოში 10 (ათი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

მოსამართლე

ყანჩელი

ეკატერინე